პროვინციული თავისუფლების გზით – პროვინციული თავისუფლებისაკენ!
პროვინციული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 20 (1458) 10-13 ივნისი, 1996 წელი

აქ არვის, დიდსა თუ პაპარასა, ქვეყნის ჭკვილით არ სჭკვა გული...

თენგიზ კიტოვანი:
ზვიადის მოსაკლავად ჩემთან და თენგიზთან მოვიდნენ პროფესიონალი მკვლელები რუსეთიდან.
როცა დაგვჭირდება, იმის გვარსაც ვიტყვით, ვინ გამოგზავნა ედუარდმა

→ მე-2 გვ.

კითხვა:
რა მიგაჩნიათ დაშვებულ შეცდომებად?
თენგიზ სიგუა:
1991 წლის 22 დეკემბერი...

→ მე-4 გვ.

აბიტურიენტების მშობლებო, ბებიებო და ბაბუებო!

მისაღებ გამოცდებზე დიდ ფულთან ერთად ცოტა ცოდნაც არის საჭირო.
წააკითხეთ აბიტურიენტებს ჩვენი გაზეთის მე-6 გვერდი

ვინ იყო ვინ?

29 საჭირბოროტო შეკითხვა და თენგიზ კიტოვანის პასუხები

6

— დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ სამხედრო გადატრიალება კრემლის სცენარით მოხდა. როგორი იქნება თქვენი პასუხი ამასთან დაკავშირებით? იჯდა თუ არა ამ სცენარში თქვენი კონტაქტები ბეპაევთან?

7

— რატომ მოიხსნა თავისუფლების მოედანზე მდგარი ვ.ადამიას მებრძოლები პოზიციებიდან?

8

— აკაკი ასათიანი წერს, რომ თქვენ რკონში გასვლის შემდეგ, როცა იგი შეგხვდათ, ითხოვეთ თავდაცვის მინისტრობა. ეს სურვილი რომ დაეკმაყოფილებინათ, მოხდებოდა თუ არა გადატრიალება და საერთოდ, რამდენად მართალია ეს?

9

— ზ.გამსახურდია გაუშვით 6 იანვარს თუ... რა მოხდა სინამდვილეში იმ დროს?

10

— დღემდე გამოუძიებელია გოჩა ჯიქიას მკვლელობა, რომელიც დედის თვალწინ ზუგდიდში დახვრიტეს, სრულიად უდანაშაულოდ. ადრე ამბობდნენ, რომ ჯიქიას მკვლელს თქვენ იფარავდით. ეს ვერსია არ ჩანს სწორი თუნდაც იმიტომ, რომ თქვენ მას ველარ დაიცავთ გასაგები მიზეზის გამო, არადა მკვლელი კვლავ გარეთ არის. რა იცით ამ საქმის შესახებ?

11

— აფხაზეთში ომის დაწყებას მთლიანად თქვენ გაბრალებენ უმაღლეს ეშელონებში. რა და როგორ იყო სინამდვილეში?

12

— ომის ბოლო დღეებში თქვენ საპატიო სარდლად დაგნიშნათ შევარდნაძემ, რატომ გააკეთა ეს?

13

— რა მიზნით დაუტოვეს ქობალიას „შესარემონტებლად" ტანკები?

14

— თუ ყარყარაშვილმა მოახერხა სოხუმიდან გამოსვლა და ჯარის ნაწილის გადაყვანა კოდორზე, რატომ ვერ მოხერხდა ეს სამთავრობო ან ქობალიას ჯარისაგან, რათა სოხუმი გადარჩენილიყო?

15

— ომის დაწყების დროს თურმე სამი დღე გეძებდნენ და ბოლოს წყალტუბოში მოქეიფეს მოგაგნეს. რას იტყვით ამაზე?

16

— ბრალად გდებენ, რომ სოხუმში იშვიათად ჩადიოდით. რატომ წარმოიშვა ეს აზრი?

17

— რას იტყვით ჟურნალისტ ბოლქვაძის მკვლელობის შესახებ, რომელიც ქობალიას ბრალდება?

18

— რატომ დატოვა სოხუმის დაცემის შემდეგ ოჩამჩირე, გალი უბრძოლველად ჯარმა?

(გაგრძელება. დას. იხ. „საქართველო" №19)

6

— ჩვენ ამას დავარქვით სამხედრო გადატრიალება და ყველა იძახის, რომ კრემლის სცენარით მოხდა, მეც ვიძახი ამას, რომ კრემლის სცენარით მოხდა, მაგრამ საიდან მოხდა, ვინ მოახდინა ომის პროვოცირება? მე რა არ შემეძლო ზვიადგამსახურდიას მოსპობა ტერორით? რა უნდოდა ზვიადის მოკვლას და ამდენ სისხლს ავცდებოდით სუყველა. მე პირადად არ ვიყავი დაინტერესებული ზვიადის სიკვდილით. პირიქით, ჩემთან და თენგიზთან მოვიდნენ პროფესიონალი მკვლელები რუსეთიდან — შევარდნაძის გამოგზავნილი ხალხი. ჩვენ ცივი უარით გავისტუმრეთ ისინი. როცა დაგვჭირდება, იმის გვარსაც ვიტყვით, ვინ გამოგზავნა ედუარდმა. პირიქით, ზვიადის სიცოცხლე, მე პირადად, მჭირდებოდა, საქართველოს ჭირდებოდა. ვისაც არ ჭირდებოდა, იმან ბოლო მოუღო მას, აქ ბევრი ზვიადისტები არიან, რომელთაც მე ბრალს ვდებ მაგას, როგორ ვერ მოუარეს ზვიადს, როგორ მოაკვლევინეს ეს კაცი, ან რატომ ჩამოიყვანეს, თუ მისი მოვლის თავი არ ქონდათ. სირცხვილი მათ, ვინც ზვიადის გვერდზე იდგა იმ დროს და ამ კაცს ვერ მიხედეს, სირცხვილი მათ. თავიანთ თავებს ხომ უშველეს, როგორც ვირთხები გაძვრენ და ყველაზე ძვირფასი დატოვეს. ზოგი კი დღეს პოლიტიკურ ლეშებად გადაიქცნენ. მაგათაც მოეთხოვებათ პასუხი. რაც შეეხება ბეპაევს, თქვენ ერთი უნდა იცოდეთ — ბეპაევმა დაანება სამხედრო სამსახურს თავი და წავიდა თავის ხალხის სამსახურში, თავის ხალხს ჩაუდგა სათავეში და იბრძვის რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. მე მაშინ არ შემეძლო მაგ ადამიანზე მელაპარაკა. ვიცოდი, რომ ბეპაევი იყო თავისი ერის შვილი და იბრძოდა და იბრძვის კავკასიელი ხალხის გვერდზე. გვერდზე ედგა და უდგას ჩეჩენ ხალხს. ეს იყო ჩვენი კონტაქტები და დღესაც იგი ჩვენს გვერდზე დგას როგორც ბალყარელი და კავკასიელი. ბევრს მცდარი აზრი ჰქონდა, რომ ბეპაევი ჩვენზე ახდენდა ზემოქმედებას. ბეპაევი აქ ებრძოდა რუსებს და მაგისა და ჩემი წყალობით საქართველოში 12 ათასამდე ჩამოვიყვანეთ რუსეთის კონტიგენტი. ბევრი ყვიროდა, ჩვენ ჩვენ საქმეს უხმაუროდ ვაკეთებდით. ის რაც დღეს ჯარს გააჩნია, მაშინდელი ნაშოვნია და მაგით ამაყობს დღეს ჩვენი ხალხი. მერე ერთი მოღუნული ავტომატი არ უშოვნია ედუარდს გარდა იმისა, რომ თავის დაცვას ამარაგებს და მასწავლებლებისა და ინტელიგენციის ხარჯზე ინახავს სამთავრობო დაცვას, ანუ თავის პირად დაცვის დაახლოებით 800 კაცს.

თენგიზ კიტოვანი და გია ყარყარაშვილი

7

— ვაჟა ადამია თავისუფლების მოედნიდან იმიტომ მოიხსნა, რომ ჯერ ტყვია-წამალი გამოელია, მერე არ ვიცი რა მოხდა, თუ მას დაპირისპირების შეეშინდა, ზვიადთან უკვე დაპირისპირებული იყო და ნასროლიც ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, რომ ტყვია-წამალი გამოელია.

8

— მე თავდაცვის მინისტრობა არავისთვის არ მითხოვია. ეს არის ცრუ ლაპარაკი. ლაპარაკი იყო გვარდიის გადარჩენაზე. მოსკოვის პუტჩი მარცხდებოდა, რა შუაში იყო მინისტრობა. მაშინ არ არსებობდა მაგის სტატუსი და მე რა უფლება მქონდა მეთხოვნა რამე ან მაგისთვის ვის ეცალა. ჩვენი მოსვლის შემდეგ არ დავდექი თავდაცვის მინისტრად და შარაშენიძე დავნიშნეთ. შარაშენიძემ ვერ გაართვა თავი და 5 თვის შემდეგ მე იძულებული გავხდი შემეცვალა იგი.

9

— მე ვიცოდი, რომ ზვიადი აპირებდა წასვლას და ორთაჭალის მხარეს მოეხსენით ძალები. მაგრამ მოგეხსენებათ, ჩვენ მაშინ კომუნიკაციების საშუალებები, გადამცემები ან საერთოდ არ გვქონდა, ან ყველასთვის არ იყო, ამიტომ, მოხდა ზოგ ადგილას გაურკვევლობა. პრინციპში მე ყველაფერი ვიცოდი. სად მიდიოდა და სად იყო გაჩერებული. მაგრამ მაშინაც ეტყობოდა ზოგიერთებს გააქტიურება, ვერ ვხვდებოდი, რომ აგენტურა მუშაობდა ყველგან, ჩვენდა საუბედუროდ.

10

— ეგ ცნობილი ინციდენტია, მე შევხვდი მაგის მშობლებს, სასამართლოზე წერილიც გამომიგზავნეს, მე არ მინდა ავყვე გაღიზიანებული მშობლების გულისწყრომას, მე კარგად მესმის ვინ უსისინებს მათ. თითქოს მე ვიცავ ან ვიცავდი ჯიქიას მკვლელს. გოჩასთანა ბიჭები 68 კაცი დამიხვრიტეს, გზაში აწამეს და თვალები დათხარეს გვარდიელებს, იმათმა მშობლებმა ვისთან იჩივლონ. თუ შევარდნაძესთან ვინც პირველი მივა საჩივლელად, ის იქნება მართალი?

11

— აფხაზეთის ომის დაწყება მე უნდათ გადმომაბრალონ, მაგრამ არსებობს ოქმი და სტენოგრაფიული ჩანაწერები, სადაც მე ერთი სიტყვა არ მაქვს ნათქვამი აფხაზეთში ჯარების შეყვანის თაობაზე. პირიქით, შევარდნაძე ყველაზე აქტიური ჯარის შეყვანაზე. იხილეთ გაზეთი „7 დღე" №10 18-24 მარტი, 1995 წელი.

12

— საპატიო სარდლად იმიტომ ამირჩია, რომ ძალიან გაუჭირდა, ეს დღესაც არ არის გამორიცხული, თუ გაუჭირდა საშველად მე მომმართოს.

13

— ქობალიასთან არავითარი ტექნიკა არ დაგვიტოვებია. ეს შევარდნაძის და ცხონებული ჰანტურიას ჩადებული მუხტი იყო, ჩემსა და სამეგრელოს წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას ნიშნავდა.

14

— ვინც იძახის, რომ ყარყარაშვილმა ჯარები გადაიყვანა სოხუმის დასაცავად, ჯერ ეს იყო უდიდესი შეცდომა. იმ 300 კაცის გადაყვანამ სოხუმი ვერ გადაარჩინა და ოჩამჩირის დაჯგუფებამ კრახი განიცადა, მე კიდევ ვიძახი, ეს იყო დიდი შეცდომა. ჩვენ ახლაც ოჩამჩირეში ვიქნებოდით და ფეხი გვექნებოდა მოკიდებული აფხაზეთში.

15

— უყურეთ, რა კარგად მუშაობდა შევარდნაძის ხმების გამავრცელებელი აპარატი. 13-ში ვიყავი სამტრედიაში და მივიღეთ ტექნიკა. 14-ში ილორის ხიდთან პირველი შეტაკება მოხდა. არის ჩემი ინტერვიუ, სადაც ვადანაშაულებ მილიციის მუშაკებს, რომლებიც ჟიგულებით შეეჯახნენ აფხაზ სეპარატისტებს და უკვე ჰყავდათ მოკლულები და დაჭრილები, გალში ცატავა შემხვდა 14 აგვისტოს და სიგარეტებს მაძლევს. 15-ში, დილით, თენგიზს ვხვდები სოხუმში, ახლა მითხარით, წყალტუბოში როდის ვიქნებოდი. ამიტომ არის, ტყუილს მოკლე ფეხი აქვს. ბატონი ედუარდი რომ იძახის, მას ჰგონია, რომ ყველას სჯერა მისი სიცრუისა.

16

— მე სოხუმში ხშირად ჩავდიოდი. ეს ყველამ კარგად იცის და 16 მარტს რომ შემოგვიტიეს, მე იქ ვიყავი. ეს იყო ბრწყინვალე მოგერიება ჩვენი ჯარების მიერ. მაშინ კობა კობალაძეს თოფიც ვაჩუქე სიმამაცისთვის ეს ყველაფერი დაფიქსირებულია ვიდეოზე. მე სანამ ვიყავი თავდაცვის მინისტრი, სოხუმი საიმედოდ დაცული იყო და ვერავინ ვერ ბედავდა მის ხელაღებით დაბომბვას ან შეტევის განხორციელებას, ეს ფაქტია.

17

ბოლქვაძის მკვლელობაზე ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ გულისტკივილით მინდა აღვნიშნო მისი დაღუპვა.

18

— მე ზემოთ აღვნიშნე და ვიტყვი იმას, რომ სოხუმი და მთლიანად აფხაზეთი ჩააბარა შევარდნაძემ და მისმა მაშინდელმა პოლიტიკურმა მხარდამჭერებმა. რად უნდა ამას მტკიცება. კაცმა, რომელმაც სამხედრო ტექნიკა გამოიყვანა, კაცმა, რომელმაც ამდენი ფული დოლარებით დახარჯა, რომ თავდაცვისუნარიანობა მოგვისპო აფხაზეთში, ერთი მითხარით რა ეთქმის ამას, თუ არა გამყიდველური პოლიტიკა და ქართველების მიმართ გენოციდის მოწყობა, ყველა პოლიტიკური აქტი შევარდნაძის მიერ ჩატარებული აფხაზეთთან მიმართებაში დაწყებული 1978 წლიდან, არის ერის ღალატის ტოლფასი და არ გვინდა ვინმეს გადავაბრალოთ, რუსეთს ან ვინმეს, ეს არის ჩვენი ბრალი, შევარდნაძის ბრალი თავიდან ბოლომდე.

(გაგრძელება იქნება)

თ. კიტოვანი შვილიშვილებთან ერთად



თ. კიტოვანი ციხეში. 1996.

შევარდნაძე — რუსულად!.. პეტროსიანი სომხურად!

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიათა საორგანიზაციო კომიტეტის განცხადება

ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ერის ფუნდამენტური ინტერესია თავისი სახელმწიფოს და თავისი ეროვნული თავმოყვარეობის დაცვა. ამ უკანასკნელის შელახვა განაპირობებს არა მხოლოდ ადამიანთა მძიმე ემოციებს, არამედ ქვეყნის სტრატეგიული, ეკონომიკური და ყოფითი მდგომარეობის დაზარალებასაც, ვინაიდან საკუთარი თავის პატივისცემა როგორც ცალკე ადამიანის, ისე ერის მიერ მათი მოქმედებისუნარიანობის არსებითი პირობაა. შეშფოთებით ჩვენი ქვეყნის მომავლის გამო და უკიდურესი მორალური გულისტივილით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა ახალქალაქში 1996 წლის 5 ივნისს იყო საქართველოს სახელმწიფოს და ქართველი ერის, როგორც ამ სახელმწიფოს შემქმნელი ერის, თავმოყვარეობის შეურაცხყოფა, რამდენადაც —

— პრეზიდენტის გამოსვლაში უგულებელყოფილი იყო ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის, უფლებები. გამოსვლა მოხდა უცხო ქვეყნის ენაზე.

— პრეზიდენტის მიმართვაში სომხური აუდიტორიისადმი, რომელიც საქართველოს მოქალაქეებისგან შედგებოდა, აქცენტირებული იყო არა მათი ინტერესები, როგორც საქართველოს მოქალაქეებისა, რომელთაც მთელ ქვეყანასთან საერთო ინტერესები აქვთ, არამედ ჩვენი მეგობარი ქვეყნის — სომხეთის ინტერესები. ქვემორე ხელისმომწერ ორგანიზაციებს მიგვაჩნია, რომ საქართველოსთვის შეურაცხმყოფელი ზემოაღწერილი პროცედურა ან სახელმწიფოებრივ უფლებათა და მოვალეობათა არასაკმარისი ცოდნის ნიშანია საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან, ან ქართული სახელმწიფოსადმი და ქართველი ერისადმი არასაკმარისი პატივისცემის ნიშანი.

ყოველგვარი გაუგებრობისგან თავის დასაზღვევად საჭიროდ ვთვლით კიდევ ერთხელ განვაცხადოთ, რომ საქართველოს სომეხი მოსახლეობა ჩვენ მიგვაჩნია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა საიმედო ნაწილად, ხოლო მის შემადგენელ ადამიანთა პიროვნული ინტერესები, ისევე როგორც ამ მოსახლეობის ერთობლივი კულტურული და სხვა ინტერესები, ჩვენთვის ისევე პატივსადებია, როგორც ნებისმიერი ქართველის ინტერესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება გაზეთ „საქართველოს“ პუბლიკაციაზე „მონანიება“

უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი

„მᲝᲜᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ“ სახელით გაზეთ საქართველოში დაბეჭდილი წერილი შეიძლება ითქვას ახალი ეტაპის დასაწყისია საქართველოს ისტორიაში. მოსახლეობა დიდი ხანია ელოდა აღნიშნულ დოკუმენტს. მისი შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს მისი ავტორების ვაჟკაცობაზე. მათ დაამტკიცეს, რომ გაიმარჯვეს „საკუთარ თავზე“.

არადა, ხომ ცნობილია ნაპოლეონ ბონაპარტეს მწარე გამონათქვამი საკუთარ თავზე მისი კარიერის დასასრულისთვის — „ჩემი ყველაზე დიდი დაუძინებელი მტერი საკუთარი თავიაო“.

ჩემის აზრით, ასეთ „დაუძინებელ მტერთან“ ომი მოიგეს წერილის ავტორებმა.

ისინი დაუფარავად აცხადებენ, რომ დაუშვეს მძიმე შეცდომა და შესდგომიან მონანიების გზას — ეს უკვე ჭეშმარიტების ძიების გზაა.

ვფიქრობ, რომ ამ დოკუმენტს არავინ დაუტოვებია გულგრილი. მას ერთნაირი დაინტერესებით ეცნობა ეროვნული მოძრაობის ყველა ფრთა, რაც უსათუოდ მათი გაერთიანების საწინდარი უნდა გახდეს მომავალში. მითუმეტეს, რომ ეს ვინმეს ახირება კი არაა, არამედ მკაცრი აუცილებლობაა. და როგორც ბატონმა ირაკლი წერეთელმა ბრძანა „ვინც ამას ხელს შეუშლის, ის იქნება დღეს საქართველოს პირველი მტერი“. ამას შეიძლება დაემატოს ფრაზა „ნებით თუ უნებლიეთ“.

უნდა გვახსოვდეს, რომ არც ახლა აკლია ქვეყანას ორპირი და მოღალატე. ისინი შეეცდებიან დააკნინონ ამ დოკუმენტის მნიშვნელობა, კვლავინდებურად ერთმანეთს წაკიდონ ალალმართალი პატრიოტები და მერე ამღვრეულ წყალში „თევზი დაიჭირონ“.

მადლობა ღმერთს, ასეთი გამოცდილება უკვე მივიღეთ, გავიგეთ მისი გემო. თუმცა არაკაცობის არსენალი შორსაა ამოწურვისგან...

მიმაჩნია, რომ მიუხედავად პოზიციათა განსხვავებულობისა, ყველამ უნდა გამოთქვას თავისი აზრი მის შესახებ. განსაკუთრებით ეს ეხება ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებს. ამავე დროს ალბათ არაა საჭირო გადამეტებული კატეგორიულობა მისი ავტორების მიმართ. მის ნაცვლად საქმისათვის უკეთესია დავაკვირდეთ მის ძირითად პუნქტებს, ჩემი აზრით, მისი ყოველი ბწკარი დიდი შინაგანი წვის შედეგია.

არაა საჭირო გაუთავებელი ქადაგება რაღაც შეუცდენელ ნაწილზე ეროვნულ მოძრაობაში. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. შეცდომა ყველას მოუვა და ვაჟკაცობა სწორედ საკუთარი შეცდომის დანახვა და აღიარებაა. ძალიან ვთხოვ ამას გაუფიქრდეს ე.წ.“უშეცდომო“ ნაწილი.

ერთ-ერთი, რაც აკლია ამ დოკუმენტს ისაა, რომ მას რატომღაც ყველა არ ანერს ხელს. არადა მისი შინაარსი საშუალებას იძლევა მას შეუერთდეს ეროვნულ ძალთა ყველა ფრთა.

სწორედ ამაშია მისი მთავარი დანიშნულება: ეროვნული მოძრაობის გამოყვანა დაქსაქსულობიდან — მისი ერთ ორგანიზმად ჩამოყალიბება, რაც უდიდესი ფაქტორი გახდება ქვეყნის წინსვლისათვის. მხოლოდ ასეთ ძალას გაუწევს ანგარიშს დღევანდელი ხელისუფლება, თორემ ზოგიერთების მოწოდება ე.წ. ბოიკოტისაკენ — გზაა არსაით.

აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება ისიცაა, რომ მან უნდა ითამაშოს წყალგამყოფის როლი თავის დროზე ეროვნულ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ძალებში. ის ნაწილი, რომელიც მიხვდა საკუთარ შეცდომას — შესდგომია მონანიების გზას.

მეორე და უკიდურესად ორგანიზებული ნაწილი კი დაუძინებელი მტერია ყოველგვარი ეროვნულის. მათი ერთადერთი პრინციპია — მიზანი ამართლებს საშუალებას. მიზანი კი ხელისუფლებაა.

საერთოდ, მინდა აღვნიშნო, რომ გაზეთი „საქართველო“ ეწევა ძალიან დიდ მოღვაწეობას აღნიშნული წყალგამყოფის დასაფიქსირებლად — ყველა საღი ეროვნული ძალის თავმოყრის მიზნით.

მინდა ვუსურვო მას წარმატებები ამ გზაზე.

პᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ
ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲟᲘᲣᲑᲐᲘᲐ
ტექნიკის მეცნ. კანდიდატი, კონსტანტინე გამსახურდიას საზ. წევრი.

რᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲑᲐᲜ: დოკუმენტს, რომელსაც ესოდენ სამართლიანად მაღალ შეფასებას აძლევს წერილის ავტორი, წამძღვარებული აქვს სარედაქციო წინასიტყვა. დასათაურება „მონანიება“ სწორედ რედაქციას ეკუთვნის. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ დოკუმენტს ხელს მოაწერს ეროვნული მოძრაობის ის ნაწილიც, რომელიც „შეუმცდარად“ მიიჩნევს თავს და ამით საკუთარ თავზეც აიღებს მის წილ პასუხისმგებლობას.

მითები და რეალობა

სომხის მეცნიერებმა მორიგი ცილისწამებით „გაგვაბედნიერეს“...

ᲑᲔᲕᲠᲘ მითი მივიღეთ მემკვიდრეობით საბჭოთა სინამდვილიდან და ერთი მათგანი იყო მითი საბჭოთა ხალხების მეგობრობაზე. როგორი მეგობრებიც ვყოფილვართ, ყველამ კარგად დავინახეთ საბჭოთა კავშირის დაშლისა და მის ნანგრევებზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა აღმოცენების შემდეგ. დაერივნენ ერთმანეთს ეს ჩვენი გუშინდელი „მეგობარი“ ხალხები და არც უჩანს ბოლო ამ ახალ ეთნიკურ ომებს. ჩვენდა საუბედუროდ, ვერც საქართველო გადაურჩა ამ სახადს, რის შედეგადაც დღესდღეობით დარღვეულია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და, ალბათ, ბევრი წყალი ჩაივლის, მანამ ყველაფერი მოგვარდება.

ეს მითი „ხალხთა მეგობრობის“ შესახებ გამახსენა ერთმა რადიოგადაცემამ. ამ ცოტა ხნის წინ, 16 მაისს საღამოს ჩავრთე რადიო და თბილისის პირველი პროგრამით მოვისმინე ამერიკის ხმის ყოველდღიური მორიგი გადაცემა ქართულ ენაზე.

უკანასკნელი ცნობების შემდეგ პროგრამის წამყვანმა სიტყვა მისცა დასავლეთში მოღვაწე ორ ქართველ მანდილოსანს — პროფესორებს დოდონა კიზირიას და ქეთევან (სახელში შეიძლება ეცდებოდე, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი წინასწარ) ალახანიას.

და აი ამ ქალბატონებმა გვამცნეს, რომ ამას წინათ დასავლეთში სომხებს ინგლისურ ენაზე გამოუცია თ საქართველოსა და კავკასიისადმი მიძღვნილი წიგნი, რომელშიც პირწმინდად ფალსიფიცირებულია ჩვენი ისტორია. წიგნის ავტორები თურმე არ იშურებენ შავ საღებავებს ქართველი ხალხის გასაბაიბურებლად და დასამცირებლად, თათხავენ მას უკანასკნელი სიტყვებით. მათი მტკიცებით, ქართველები ყოფილან უმაქნისნი, უვარგისნი, რომლებსაც არაფრის უნარი არ შესწევთ და თუკი საქართველოში ოდესმე რაიმე კარგი გაკეთებულა, ეს მხოლოდ სომხების ინიციატივით, უნარითა და ხელებით. ამასთანავე ეს პასკვილი სათანადოდ ყოფილა გაფორმებული ილუსტრაციებითა და რუკებით.

ქალბატონები დოდონა და ქეთევანი ჩიოდენ, რომ ქართველთა მიმართ მსგავს შეურაცხმყოფელ გამოხდომებს ჩვენს არაკეთილმოსურნეთა მხრივ დასავლეთში ხშირად აქვს ადგილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი უმეტეს შემთხვევაში რჩებიან უპასუხოდ, რაც კიდევ უფრო ათამამებს მათ.

ორივე ქალბატონმა დაგვაიმედა, რომ ისინი თავის მხრივ ყველაფერს იღონებენ, რათა საკადრისი პასუხი გასცენ ჩვენს ცილისმწამებლებს, მაგრამ მათი შესაძლებლობანი, რა თქმა უნდა, შეზღუდული და არასაკმარისია, რის გამოც, მათივე თქმით, საჭიროა, რომ ეს საშვილიშვილო საქმე ითავოს თვით ქართულმა სახელმწიფომ, მისმა მთავრობამ და ინტელიგენციამ.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ზემოთნათქვამიდან? იმ დასკვნისა, რომ ლაპარაკი ერთა შორის მეგობრობაზე საერთოდ ნონსენსია და სხვა არაფერი. და ეს არა მარტო სომხებთან შეპირისპირებაში. მეგობრები შეიძლება იყვნენ ადამიანები და ისიც ალბათ გარკვეული დროის განმავლობაში, ხოლო რაც შეეხება ერთ მინაზე ან მეზობლად მცხოვრებ ერებს, მათი პოლიტიკური, ეკონომიური, ეთნიკური თუ სხვა ინტერესები არასდროს არ დაემთხვეიან ერთმანეთს ზუსტად და არ იქნებიან ისინი იდეალურ, უკონფლიქტო ურთიერთდამოკიდებულებაში. ზოგჯერ კი ეს ინტერესები შეიძლება ისე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რომ გადაიქცნენ შეიარაღებულ კონფლიქტების მიზეზად, რისი მაგალითებიც ასე უხვადაა დღეს მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე. ნათქვამის საილუსტრაციოდ და მაგალითად გამოგვადგება ისევ ჩვენი ურთიერთობა და დამოკიდებულება სომხებთან.

ჩვენ მათთან ბევრი რამე გვაქვს საერთო, ქრისტიანული რწმენის, საერთო ინტერესების (დიახ, დიახ — საერთო ინტერესების), ოჯახებისა და ნათესაობის ჩათვლით, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, განა ცოტა იყო ჩვენს მრავალსაუკუნოვან თანაცხოვრებაში, რბილად რომ ვთქვათ, არამეგობრული. საკმარისია გავიხსნოთ დიდი ილიას „ქვათა ღაღადი“ და ყველაფერს თავის სახელი დაერქმევა.

ეხლა კი ისტორიული წარსულიდან დავუბრუნდეთ დღევანდელ დღეს. რა მეგობრობაზე შეიძლება ლაპარაკი, მაგალითად, იმის შემდეგ, რაც აფხაზეთის სომხობამ გააკეთა ქართველთა მასიური ხოცვა-ულეტისა და იქიდან გამოდევნის ტრაგიკულ დღეებში. მათ გააკეთეს ის, რაც არ იკადრა არც ერთმა იქ მცხოვრებმა სხვა ერის ხალხმა, რუსების ჩათვლით. მათ შექმნეს თავიანთი ეროვნული, სომხური ბატალიონი, დაარქვეს მას ბაგრამიანის სახელი და აფხაზებზე უფრო მეტი სიავითა და სისასტიკით ავლებდნენ მუსრს იქაურ ქართველობას.

განა მეგობრები ასე იქცევიან? განა „ბაგრამიანელთა“ მიერ ჩადენილ მხეცობასა და ბოროტებას როდისმე დაივიწყებს ქართველი ხალხი და ისტორია? რა თქმა უნდა, არა.

კი, ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ნიჭიერსა და შრომისმოყვარე სომეხ ხალხს, რომელთანაც ღმერთმა და განგებამ თანაცხოვრება და თანაარსებობა დაგვანათლა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ და გავითავისოთ ის უდავო ჭეშმარიტება, რომ პატივისცემა არასდროს ყოფილა და არც იქნება მეგობრობის აუცილებელი სინონიმი.

ამიტომ, ჩემი ღრმა რწმენით, როდესაც ლაპარაკია ერთა შორის ურთიერთობაზე, იქნება ეს ერთი სახელმწიფოს ფარგლებში თუ მეზობელ სახელმწიფოთა შორის, უპრიანია ვილაპარაკოთ არა მათ მეგობრობაზე, რაც ვიმეორებ, უაქტიურად ნონსენსია, არამედ მათ მშვიდობიან თანაარსებობაზე, თანაცხოვრებაზე, რამეთუ ეს სიტყვები ყველაზე უფრო ზუსტად გამოხატავენ ნებისმიერ ერთა შორის დამოკიდებულების ყველა ნიუანსს. და თუ ვიქნებით ბოლომდე გულახდილები, უნდა ითქვას ისიც, რომ ამ თანაარსებობას არცთუ იშვიათად თან სდევს დარვინისეული ბრძოლა არსებობისათვის, ადგილისათვის მზისა და ცის ქვეშ.

დაბოლოს, ერთი საგულისხმო და ყოვლისმეტყველი ფაქტი ზემოთნათქვამის კონტექსტში.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის დაშლამდე თბილისში მოქმედებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, რომელიც ახალი დროების დადგომასთან ერთად გადაკეთდა ეროვნებათაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრად, რაც ზუსტად შეესაბამება ამ სამეცნიერო დაწესებულების საქმიანობასა და მიზნებს.

და ბოლოს, მითი ჩვენ თვითონ შევექმენით ჩვენს თითქოსდა განსაკუთრებულ ტოლერანტობაზე, შემგუებლობასა და სტუმართმოყვარეობაზე, რაც, ზოგიერთთა მტკიცებით, თითქოს გახდა საქართველოს მოსახლეობის მრავალეროვნულობის მიზეზი.

ამ მითის მიმდევრებს უპირველეს მაგალითად, თავიანთი შეხედულების დასამტკიცებლად, მოყავთ ებრაელების ჩამოსახლება ჩვენში ამ ოცდაექვსი საუკუნის წინათ და მათი ფაქტიური გაქართველება.

მე სრულიადაც არ ვაპირებ ჩრდილი მივაყენო ჩვენს სტუმართმოყვარეობას, მაგრამ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად ყველას და ყველაფერს თავისი სახელი უნდა ეწოდოს, რამეთუ ჩვენ არავინ არ მოგვიწვევია საქართველოში საცხოვრებლად (თუ არ მივიღებთ მხედველობაში დავით აღმაშენებლის მიერ ჩვენში ყივჩაღების ჩამოსახლებას) და სხვა ერთა დასახლება ჩვენს მინებზე, როგორც წესი, ხდებოდა ჩვენდა დაუკითხავად.

როგორც ცნობილია, ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს ჩვენში მიეკუთვნებიან სომხები და აზერბაიჯანელები, რომლებიც საქართველოს სამხრეთის მთელ რიგ რაიონებში შეადგენენ ადგილობრივი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას.

„ჩვენებური“ აზერბაიჯანელები (ან მათი უმრავლესობა) წარმოადგენენ შაჰ-აბასის მიერ აქ ირანიდან ჩამოსახლებულ თურქულენოვან ტომის ბორჩალურ შთამომავლებს (აქედან წარმოსდგებოდა მარნეულის ადრინდელი სახელი — ბორჩალო), ხოლო სომხები კი მესხეთ-ჯავახეთში თურქეთიდან ჩამოასახლა რუსმა გენერალმა პასკევიჩმა.

მე მგონი ყველა დამეთანხმება, რომ არც შაჰ-აბასსა და არც პასკევიჩს ჩვენი წინაპრებისაგან ნებართვა ამის თაობაზე არ აუღიათ.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲗᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲕᲘᲜ?

ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

17 ᲛᲬᲐᲠᲔ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲡᲘᲒᲣᲐᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „საქართველო“ №16-17-18-19

16

— ბატონო თენგიზ, თქვენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მუშაობის დიდი გამოცდილება გაქვთ, ამავე დროს მრავალთაგან განსხვავებით ანალიზის უნარი შეგწევთ, ხომ ვერ გვეტყოდით, რა მექანიზმებით ხდებოდა საქართველოს ქონების ძარცვა, ამ ქონების დაახლოებით რა პროცენტი გაიძარცვა და რა მექანიზმებით გრძელდება ძარცვა დღეს?

17

— „გაგხადათ“ თუ არა ბევრმა, ვისაც „ჩააცვით“, თქვენი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, ანუ რას იტყვით არა მხოლოდ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე, არამედ უმადურობის კონკრეტულ ფაქტებზე?

ბოლო, მე-18 შეკითხვა რედაქციამ დამატებით გაუგზავნა ბ-ნ თენგიზ სიგუას.

18

— რა მიგაჩნიათ დაშვებულ შეცდომებად?



16

საქართველოს ქონების ძარცვა ხდებოდა არცთუ რთული მექანიზმებით. ძირითადად ეროვნული ბანკის რესურსებიდან, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებს დიდი ოდენობით მიეცემოდათ შეღავათიანი კრედიტები, რომლებიც მათ ვითომდა კვების პროდუქტების, საწვავის, ნედლეულის, რესპუბლიკისათვის სხვა აუცილებელი საქონლის შესაძენად უნდა გამოეყენებინათ. ფაქტიურად გაცემული კრედიტების ძირითადი მასა (დაახლოებით 90 პროცენტი) სხვადასხვა მაქინაციებით მოხვდა კერძო სექტორში და იგი გამოიყენეს არა პროდუქციის, არამედ ვალუტის შესაძენად. ამიტომაცაა, რომ მაგალითად თურქმენეთში, ბუნებრივი აირის სანაცვლოდ, დაწყებული 1993 წლიდან ვოდარ იგზავნებოდა საქართველოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქცია — ჩაი, ღვინო, შამპანური, კონიაკი, თამბაქოს ნაწარმი და სხვა. და ორ წელიწადში თურქმენეთისადმი ჩვენმა ვალმა თითქმის ნახევარ მილიარდ დოლარს მიაღწია. 1992 წელს თურქმენეთიდან მივიღეთ 5 მილიარდი კუბური მეტრი აირი და მთლიანად გავისტუმრეთ მისი ღირებულება, არც ერთი კაპიკი ვალი მათი არ გვქონია. თანაც ჩვენგან მიწოდებულ პროდუქციას საოცრად ხელსაყრელ ფასებში გვითვლიდნენ (მაგალითად, 1 ბოთლი შამპანური — 16 დოლარად, ღვინო — 6 დოლარად, სიგარეტი „ასტრა“ 1 დოლარად). მუქთად ნაშოვნი კრედიტების ხარჯზე შიდა ბაზარზე ხდებოდა ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციის შეძენა, ყალბი ხელშეკრულებებით მათი რესპუბლიკიდან გატანა და რეალიზაცია, ამონაგები თანხების კონვერტირება და დოლარების ევროპის ბანკებში განთავსება.

ასევე სრულიად არარეალური საპროცენტო განაკეთები იყო დაწესებული კრედიტებზე (40%-მდე, მაშინ როდესაც, ვთქვათ რუსეთში 240%-ს აღწევდა, ხოლო ინფლაციის დონე 3000 %-ს აღწევდა). კომერციული ბანკების დიდი ნაწილი არარეალურ ფინანსურ გარემოში ფუნქციონირებდა: ეროვნული ბანკიდან არარსებულ, „ჰაერის“ ემისიურ კრედიტებს ღებულობდნენ და ამ კრედიტებით ვაჭრობის ხარჯზე უზარმაზარ მოგებას ნახულობდნენ. სახელმწიფო ხაზინაში კი მიზერული თანხები შედიოდა.

ნოდარ ჯავახიშვილის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნის შემდეგ ეს უმსგავსობა შეწყდა. მან კრედიტების აუქციონზე გაყიდვა დაიწყო და თუ არ ვცდები, პირველივე აუქციონზე კრედიტები 450—470% განაკვეთით გაიყიდა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა კოლოსალური თანხები დაკარგა სახელმწიფომ.

ამის შემდეგ გამოინახა კრედიტების „გამოძალვის“ ახალი გზა. 1993 წლის ბოლოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების შესაბამისად მინისტრთა კაბინეტმა შესაბამის ბანკებს 180 მილიარდი კუპონის კრედიტი გადასცა. 1994 წლის თებერვალში პარლამენტის უმრავლესობამ სახელმწიფოს მეთაურის აქტიური მხარდაჭერით თავისი გაიტანა და აიძულა ეროვნული ბანკი 800 მილიარდი კრედიტი გამოეყო (400 მილიარდი სოფლის მეურნეობისათვის და 400 მილიარდი საკლირინგო ოპერაციებისათვის). შეგახსენებთ, რომ მეორე დღესვე კუპონის კურსი დოლარისა და რუბლის მიმართ კატასტროფიულად დაეცა.

განუწყვეტლივ გრძელდება კანონით აკრძალული ნედლეულის გაზიდვა საქართველოდან. მაგალითად, მიუხედავად ამკრძალავი კანონის არსებობისა, ათიათასობით ტონა ლითონის ჯართი იქნა გატანილი. არავითარი გამართლება არა აქვს იმას, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები თავისუფლდებიან გადასახადებისაგან.

სკანდალური სახე მიიღო ახლახანს პარლამენტის სხდომაზე 1995 წლის ბიუჯეტის შესრულების საკითხის განხილვამ. ის, რომ წინა წლის ბიუჯეტი აბსოლუტურად არარეალური იყო („უდეფიციტო“ ბიუჯეტი, სავსებით დაბალანსებული — 243 მილიონი ლარი შემოსავალი და ამდენივე გასავალი), ჩემის აზრით, არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, მაგრამ წინა პარლამენტის „უმრავლესობამ“ იგი მაინც დაამტკიცა (რასაკვირველია, ზეწოლის შედეგად). დამთავრდა 1995 წელი და აი სავალალო შედეგები: შემოსავლებმა შეადგინა 223,3 მილიონი ლარი (აქედან 65 მილიონი უცხოური გრანტების ხარჯზე), ხარჯებმა შეადგინა 403,9 მილიონი, ხოლო დეფიციტმა 180,6 მილიონი ლარი. რაც მთავარია, 100 მილიონ ლარზე მეტი დახარჯულია პარლამენტის გვერდის ავლით, რასაც უკვე კრიმინალის სუნი ასდის. პარლამენტი თითქოს „აზვირთებულია“ ამ უკანონობის წინააღმდეგ, მაგრამ ზემოდან მოდის ბრძანება „დღეს ამის გარჩევის დრო არ არის“ და პარლამენტი წყნარდება. (გაავლეთ პარალელი 1993 წლის 10 ივნისის პარლამენტის სხდომასთან, როდესაც დანაშაულებრივი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საკითხი ირჩეოდა, როდესაც ასეთივე მეთოდით დააშოშმინეს „აქოჩრებული“ პარლამენტი). მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ არაფერი გარკვეულა. ასე იქნება ახლაც — მიჩქმალვის პოლიტიკა ჯერ კიდევ ძალაშია.

17

მე დღესაც უაღრესი კეთილგანწყობისა და მადლიერების გრძნობით ვარ განწყობილი იმ კოლეგების მიმართ, რომლებთანაც მომიწია მუშაობამ მინისტრთა კაბინეტში (ვგულისხმობ იმ პიროვნებებს, რომლებიც მე მოვიწვიე და ჩემი რეკომენდაციით ინიშნებოდნენ ხელმძღვანელ პოსტებზე). ისინი აკადემიური და საუნივერსიტეტო სფეროების წარმომადგენლები იყვნენ და მათ არავისი „ჩაცმა“ არ სჭირდებოდათ. მათ, იმ უმძიმეს პერიოდში, პატიოსნად იღვაწეს და არც ერთს, როგორც იტყვიან, ჩირქი არ მოსცხებიათ.

ყურადსაღებია ერთი გარემოებაც: მოხდა კიდევ ერთი მავნე ტრადიციის მსხვრევაც — „ნომენკლატურული მუშაკების“ ჰორიზონტალური გადაადგილებისა. ყველა მათგანი მინისტრის სავარძლის დატოვების შემდეგ დაუბრუნდა თავის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას და „სკამისმაძიებელთა“ გრძელ რიგში არ ჩამდგარან.

მე დღესაც ძალიან კარგი ურთიერთობები მაქვს ამ ხალხთან, არც ერთ უმადურობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია და ამდენად „ჩაცმა-გახდის“ პრობლემაც არ არსებობდა.

18

1990 წლის 24 აპრილი. მოხდა განხეთქილება ეროვნულ ფორუმში. სხვებთან ერთად, პირადად მეც არ გამოვიყენე ყველა შესაძლებლობა ამ კონფლიქტის აღმოსაფხვრელად, რამაც შემდგომში სავალალო შედეგი გამოიღო.

1991 წლის 22 დეკემბერი. ჩემის აზრით, ამ შემთხვევაშიაც ბოლომდე ვერ გამოვიყენე ის შესაძლებლობები, რაც დაწყებულ სისხლისღვრას წერტილს დაუსვამდა. მეჩვენება, რომ კომპრომისის ყველა შესაძლო ვარიანტი ამოწურული არ იყო.

1992 წლის 27 თებერვალი. ჩემი თანხმობა ე.შევარდნაძის საქართველოში მოწვევის თაობაზე.

1992 წლის 8 ნოემბერი. ახლადარჩეული პარლამენტი აკომპლექტებს მინისტრთა კაბინეტს. ჩემი კანდიდატურა წარდგენილია პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე. პირველი კენჭისყრა — კანდიდატურა არ მტკიცდება. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ჩემი კანდიდატურის მეორედ განხილვისა. ოთხსაათიანი საუბრის შემდეგ ვთანხმდები. ეს ჩემ დიდ შეცდომად მიმაჩნია, რადგან მაშინვე ნათელი იყო, რომ ჩატარებული პროცედურა წინასწარ დაწერილი სცენარის ერთ-ერთ აქტს წარმოადგენდა.

1992 წლის ნოემბერი. გრძელდება კაბინეტის დაკომპლექტება. რეგლამენტი მოითხოვს, რომ სახელმწიფოს მეთაურმა და პრემიერ-მინისტრმა პარლამენტს ურთიერთშეთანხმებული კანდიდატურები უნდა წაუყენონ დასამტკიცებლად. რიგ შემთხვევებში მე არ ვათანხმებ ჩემთვის მიუღებელ კანდიდატურებს, მაგრამ იყო დათმობის შემთხვევებიც. მეტი პრინციპულობა უნდა გამომეჩინა.

ამით დასრულდა ვრცელი ინტერვიუ ბატონ თენგიზ სიგუასთან, ამ პუბლიკაციებმა მკითხველთა ფართო წრეების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. რედაქციაში მკითხველებმა გამოგზავნეს უამრავი წერილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი „რეცენზიები“ აღნიშნულ პასუხებთან დაკავშირებით და კითხვები თ. სიგუას მისამართით. ყველაფერ ამის გამოქვეყნებას საგაზეთო ფართი ვერ აუვა, ეს კითხვები საერთო პათოსით თითქმის იდენტურია, ამიტომ, პირობითად სამ ნაწილად დავყავით და სამი კითხვის სახით გადავეცით ბატონ თენგიზს.

პირველი შეკითხვა ეკუთვნის „ზვიადისტებს“.

მეორე შეკითხვა ეკუთვნის „შევარდნაძისტებს“.

მესამე შეკითხვა ეკუთვნის „არავისტებს“...

ამ კითხვებსა და მის პასუხებს შემოგთავაზებთ მომდევნო ნომერში.

«ალვერიენით ერსა უცხოსა...»

ძვირფასო მკითხველო, ეს უნიკალური ცხრილი, რომელიც ბატონმა ანზორ თოთაძემ გადმოგვცა, პირველად ქვეყნდება. ამ მშრალ ციფრებში ქართველი მკითხველი დაინახავს, რომ ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული ვითარება კატასტროფულია.

თუ დროზე არ ვუმკურნალეთ ჩვენს დემოგრაფიულ სატკივარს, შთამომავლობა ახალ ცხრილს შეადგენს, რომელსაც ციფრებით დაწერილი ქართველი ერის ეპიტაფია დაერქმევა...

ყოველი ერი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საკუთარი გამრავლების პრობლემებს, ყოველმხრივ ჯანსაღი და სრულყოფილი თაობის განახლებას. ამაში ხედავს იგი თავისი სიცოცხლის გაგრძელებას, მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და ინდივიდუალობის უკვდავყოფას. ცხადია, ქართველ ერსაც აწუხებს თავისი შთამომავლობის გამრავლების პრობლემები. ამ პრობლემების გადასაწყვეტად მას დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რათა არ დაკარგოს საკუთარი სახე, ის მშვენიერება, რაც მხოლოდ მას შეუქმნია და აქვს, რაც მის მშობლიურ მიწას ალამაზებს და რისთვისაც ღირს ერის სიცოცხლე.

უძველესი დროიდან ქართველი ერი არ ზოგავდა სასიცოცხლო ენერგიას თვითმყოფობისათვის, ეროვნული გრძნობის გაღვიძებისა და გაძლიერებისათვის. ძნელბედობის, ქვეყანაში უცხო ტომისა და უცხო ხალხის მოძალების ჟამს, ყოველთვის გამოინახებოდა ეროვნული ძალები, რომლებიც ქვეყნისა და ერის გადასარჩენად ზრუნავდნენ. მრავალთა შორის შეიძლება დავასახელოთ მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე იოანე საბანისძე. ამ პერიოდში მოსახლეობა არაბების მძიმე უღელქვეშ გმინავდა. იოანე საბანისძე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ქართველები არაბთა „შიშითა განილევიან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ და საქვეყნოდ კიცხავდა ასეთ გადაგვარების გზაზე დამდგარ ელემენტებს. მაგრამ მას მაინც ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ **„აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტესაგან... სარწმუნოებისა ჩვენისა მაგინებელთა“.** იგი გვაფრთხილებდა, რომ დავივიწყეთო „ჩვეულებისამებრ მამულისა სლვაი“, რადგან ეს გადაგვარებასა და საკუთარი სახის დაკარგვას მოასწავებდა.

გიორგი მთაწმინდელი კი შესანიშნავად ბრძანებდა: **„და რომელთა ქართველთა განმრავლებაᲘ იღვაწონ... საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევაᲘ მათი!“.** სწორედ ასეთი სულიერი მოძღვრების ფესვებზე ამონაყარმა ნერგებმა გამოგვატარა საშინლად ბნელი შუა საუკუნეები, როდესაც არ წყდებოდა ნიაღვარივით წასალეკად მომსკდარ ათასგვარ ურჯულოთა ურდოები.

ყოველი ერი ზრუნავს იმისათვის, რომ იყოს უმრავლესობა თავის ისტორიულ ტერიტორიაზე და ამ მხრივ რაიმე საფრთხე და გადაგვარება არც პერსპექტივაში ემუქრებოდეს. ყველა ერი ამაში ხედავს თავის სასიცოცხლო ინტერესებს და ეს გასაგებიცაა. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ყოფილ საბჭოთა კავშირში მკვეთრად დაირღვა ერთა თანაცხოვრების ტრადიციულად ჩამოყალიბებული რაოდენობრივი ბალანსი. ისეთი პირობები შეიქმნა, რომ მიგრაციული პროცესების რეგულირებისათვის რესპუბლიკების ინტერესები სავსებით უგულებელყოფილი იყო. მაგალითად, ლატვიაში სხვა ხალხების ინტენსიური გადასახლების შედეგად მნიშვნელოვანად შემცირდა მკვიდრი ეროვნების წილი. კერძოდ, **თუ 1959 წელს ლატვიელები შეადგენდნენ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობს 62 პროცენტს, 1989 წელს მათი რაოდენობა მხოლოდ 52 პროცენტს უდრიდა.** ამავე პერიოდში ლატვიელთა რიცხვი **ერესეთ** ბლიკაში **90 ათასით** გაიზარდა, ხოლო სხვა ხალხები — **573 ათასით.** ბუნებრივია, როდესაც კატასტროფულად მცირდება მკვიდრი ერების წილი, უკვე საფრთხე ემუქრება მათ ეროვნულ სახეს და გადაგვარების რეალურობა აშკარა ხდება. ასეთ შემთხვევაში სხვა ერი თავს გახვევს თავის ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, ეროვნულ ღირებულებებს. ამასთან, ცხადია, მკვიდრ და არამკვიდრ ერებს შორის რაოდენობრივი დისბალანსი აუცილებლად იწვევს დაძაბულობას ერებს შორის. ყველა ერი ზრუნავს იყოს უმრავლესობა თავის ქვეყანაში და ეს თვითმყოფობის შენარჩუნების ეროვნული გრძნობა არავისთვის უცხო არ არის.

საქართველოში, მართალია, ასეთი მდგომარეობა არ არის, მაგრამ, ამ მხრივ, ვითარება მაინც მძიმეა. ჩვენთან მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების რაოდენობა ცალ-ცალკე აღებული ასეულ ათასს უდრის. ისინი ძირითადად კომპაქტურად ცხოვრობენ. გარკვეულ მძიმე სიტუაციებში სეპარატისტული ძალები მათ უპირისპირებენ ქართველ ხალხს, ქმნიან დაძაბულობის კერებს.

XIX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შედარებით ერთფეროვანი იყო. ერთ-ერთი გაანგარიშებით, ქართველები ქვეყნის მთელი მოსახლეობის 89 პროცენტს შეადგენდნენ. ამჟამად, კერძოდ, 1989 წელს

დასასრული მე-6 გვ.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1989 წელს რეგიონების მიხედვით

	სულ მოსახლეობა		მათ შორის											
			ქართველი		აფხაზი		ოსი		რუსი		სომეხი		აზერბაიჯანელი	
	აბსოლუტურად	პროცენტულად	აბსოლუტურად	პროცენტულად	აბსოლუტურად	პროცენტულად	აბსოლუტურად	პროცენტულად	აბსოლუტურად	პროცენტულად	აბსოლუტურად	პროცენტულად	აბსოლუტურად	პროცენტულად
აფხაზეთი	525 061	100,0	239 872	45,7	93 267	17,8	1 165	0,2	74914	14,3	76541	14,6	517	0,1
აჭარა	392 432	100,0	324 813	82,8	1 636	0,4	815	0,2	30042	7,7	15849	4,0	1077	0,3
იმერეთი	766 892	100,0	725 767	94,6	26	0,0	1 162	0,1	20822	2,7	3547	0,5	1283	0,2
სამეგრელო	410 037	100,0	383 147	93,4	-	-	346	0,1	17789	4,3	1221	0,3	783	0,2
გურია	158 053	100,0	147 496	93,3	-	-	225	0,1	4567	2,9	3457	2,2	239	0,2
რაჭა-ლეჩხუმი	48 346	100,0	46 725	96,6	-	-	317	0,6	127	0,3	86	0,2	58	0,1
სვანეთი	26 120	100,0	25 947	99,3	-	-	15	0,0	57	0,2	22	0,1	31	0,1
სულ დასავლეთ საქართველო	2 326 941	100,0	1 893 638	81,4	94 929	4,1	4045	0,2	148318	6,4	100723	4,3	3988	0,2
თბილისი	1246936	100,0	824412	66,1	406	0,0	33157	2,7	124867	10,0	150138	12,1	17986	1,4
შიდა ქართლი	521729	100,0	379909	72,8	9	0,0	103082	19,8	10114	1,9	11384	2,2	7487	1,4
ქვემო ქართლი	608491	100,0	214347	35,2	111	0,0	8587	1,4	34934	5,7	43993	7,2	243977	40,1
კახეთი	441045	100,0	360245	81,7	—	—	12441	2,8	13690	3,1	6473	1,5	33641	7,6
სამცხე	89536	100,0	55892	62,4	—	—	234	0,3	3765	4,2	27271	30,5	179	0,2
ჯავახეთი	107003	100,0	3459	3,2	—	—	45	0,0	4898	4,6	97056	90,7	214	0,2
აღმოსავლეთ კავკასიონი	59160	100,0	55491	93,8	—	—	2464	4,2	586	1,0	173	0,3	84	0,1
სულ აღმოსავლეთ საქართველო	3073900	100,0	1893755	61,6	526	0,0	160010	5,2	192854	6,3	336488	11,0	303568	9,9
სულ აღმოსავლეთ საქართველო თბილისის გარეშე	1826964	100,0	1069343	58,5	120	0,0	126853	6,9	67987	3,7	186350	10,2	285582	15,6
სულ საქართველო	5400841	100,0	3787393	70,1	95853	1,8	164055	3,0	341172	6,3	437211	8,1	307556	5,7

აბიტურიენტებისა და მე-11 კლასელთათვის

ნიკო ლორთქიფანიძის
«ტრაგედია უგმიროთ»
განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

(დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო“ №18.)

II
სულის ტკივილი

დიახ, ნოველაში ხორცის ტკივილს სულის ტკივილი ცვლის. ეს უკანასკნელი უფრო მწარე, უფრო დამთრგუნველი, უფრო გამაუბედურებელი ყოფილა ადამიანისათვის.

„მე შევჭამე...
ბავშვებს არაფერი ვაჭამე...
ღმერთო, რა მომივიდა?..
სირცხვილი! ხალხს რაღა ვუთხრა?! ვაი, თუ დაიხოცენ...
ადგა, მივიდა ბავშვებთან...
შეტრუცული ბჟოლის ძირში მიგდებულიყვნენ... ეძინათ. მამა მიუწვა. ცრემლი შეჩერებოდა წამწამზე. თავს იკავებდა.
არ გავაღვიძო მაინც! რა ვქენი, რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!“

რამდენი რამ არის თქმული ამ ერთ ფრაზაში. „დედა ხომ არ იზამდა“... ისიც, რომ ბავშვები ობლები არიან. ისიც, თუ რა არის დედა შვილებისათვის, ისიც, თუ რამდენად გაათკეცებულია ტკივილი უნებლიე დამნაშავისა.

„უმცროსს გამოეღვიძა. გაუკვირდა, ჩააჩერდა მამას.
— მამა! — წყნარად დაიწყო ბავშვმა.
— რა შვილო? — ნაზათ უპასუხა“.

მამის სულიერი მდგომარეობა კარგად ჩანს სამ სხვადასხვა სიტუაციაში.

ამ სულიერი მდგომარეობის ცვალებადობას საოცარი ოსტატობით აფიქსირებს მწერალი სულ უმნიშვნელო დეტალებით.

ავიღოთ შვილებთან საუბრიდან სამი ფრაზა:

1. — კი, შვილო, კი, ბიჭო — ეუბნებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს.
2. — გადით, თქვენ გასაწყვეტლებო!
3. — რა შვილო? — ნაზათ უპასუხა.

„კი, შვილო, კი, ბიჭო“ — ამ ფრაზას ამბობს, არც მეტი არც ნაკლები, გახარებული და თან გულაჩვილებული კაცი.

„გადით თქვე გასაწყვეტლებო!“ — ეს უკვე გამხეცებული, გონებაარეული პერსონაჟის სიტყვებია. დაბოლოს —

„რა შვილო?“ — შვილს უკვე სინონიმი აღარ მოსდევს. „ბიჭო“

აქ უკვე ზედმეტია, რადგან კაცი იხრჩობა, ცრემლი და სინანული ახრჩობს და ერთადერთ სიტყვაში უნდა გამოიხატოს მთელი მისი ტკივილი. ამიტომ კი არ უთხრა, კი არ მიუგო, არამედ, „რა შვილო?“ — ნაზად უპასუხა. ეს „ნაზად“ უნებურად გახარებულ კაცსაც გვიხატავს, გახარებულს იმით, რომ შვილმა ისევ ძველებურად მიმართა — „მამა“. მაგრამ პატარა ბავშვის მომდევნო ფრაზა განაჩენად იქცევა სინანულის ცრემლით განწმენდილი ამ უბედური კაცისათვის.

„მთლად შეჭამე?“ „მამა, ცოტა იქნებ დაგრჩა — მომეცი... მუცელი მტკივა — არ გაგამხელ“... მეტის ატანა შეუძლებელი გახდა.

სულის ტკივილს აპათიაში არ ჩაუგდია კაცი. ყველაფერი, რაც შემდეგ მოიმოქმედა, სრულიად გააზრებულად მოხდა. „ბაწარი ტოტს მაგრად მიაბა, მარყუჟი გამონასკვა მეორე ბოლოში, გასინჯა — კისერზე თუ მომიჭერსო და...“

როგორც ვხედავთ, გაუაზრებლად კი არა, კაცი შეგნებულად მოქმედებს. ბაწარი ტოტს მიაბა. გასინჯა კიდეც, არ მომიტყდესო...

რაზე მეტყველებს ამ ორი ნოველის პირველი ნაწილისა და მეორე მონაკვეთის შედარება?

ხორცის ტკივილს, რაოდენ აპათიაშიც არ უნდა ჩაგვაგდოს, კიდევ ეშველება რამე. ან ღმერთი გვიშველის, ან კაცი და შიმშილით სიკვდილს გადაგვარჩენს. სულის ტკივილი კი გაუსაძლისია, იმდენად გაუსაძლისი, რომ ადვილი შესაძლებელია, ადამიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანოს.

III
რაღა ჩემს ვენახში

ნოველის უკანასკნელი ნაწილი სულ ორი წინადადებისაგან შედგება. თავისმკვლელის საქციელზე ორი ადამიანის რეაქციას გვამცნობს მწერალი. ერთი მოხუცი ნათლიაა, დედაკაცი, რომელმაც დამშეულ ბავშვებს ჭადის ფქვილი უწყალობა, მეორე კი ის მეზობელი, რომლის ვენახშიც ჩამოიხრჩო თავი ნოველის გმირმა.

„კეთილი ბებერი ნათლია იფოფრებოდა: — ღმერთო! ღმერთო! რა დროს მომასწარი!.. რა საცოდაობა დატრიალდა...

ვინ მოუვლის ობლებს?! — ამ სიტყვებში სავსებით ბუნებრივი და ადამიანური რეაქცია ჩანს მომხდარი ტრაგედიით შეძრწუნებულ ადამიანისა.

„— რაღა ჩემს ვენახში, ჩემი კარის უკან, ჩემი ბაწრით ჩამოიხრჩო თავი ამ ოჯახქორმა!“ კეთილი ნათლიისაგან განსხვავებით, ბრაზობდა და იწყევლებოდა მეზობელი. ეს კი, ერთი შეხედვით, სრულიად არაბუნებრივი და არაადამიანური რეაქციაა, მომხდარი ტრაგედიით შეძრწუნებული მეზობლისა.

დიახ, მეზობელიც შეძრწუნებულია ტრაგედიით. და თუ ეს ასეა, რისთვის იწყევლებოდა და ბრაზობდა მიცვალებულზე იგი?

საქმე იმაში გახლდათ, რომ მოხუცი ნათლიის შეძრწუნების საფუძველი სხვისი ტრაგედიის გულთან მიტანა იყო.

მეზობელი კი თავისი მომავალი უბედურების წარმოდგენით შეძრწუნებულა და რაკი ამ მომავალ უბედურებაში „წვლილი“ მიცვალებულს მიუძღვის, ამიტომ იწყევლება და ბრაზობს. აქედან გამომდინარე, მისი რეაქცია ტრაგედიისადმი ასევე ბუნებრივი ჩანს.

„— რაღა ჩემს ვენახში, ჩემი კარის უკან, ჩემი ბაწრით ჩამოიხრჩო თავი ამ ოჯახქორმა! ბრაზობდა და იწყევლებოდა მეზობელი“. ამ წინადადებას მოსდევს ნოველის უკანასკნელი ფრაზა, რომელიც სრულიად სხვა განზოგადოებას აძლევს ნაწარმოებს. აი, ეს ფრაზაც — „რომელსაც ამ შემთხვევის გამო, ვინ იცის, რა მოელოდა“.

ახლა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ განხილვის შესავალში თქმული: ნიკო ლორთქიფანიძემ ნოველაში „ტრაგედია უგმიროთ“ დაგვიხატა სოციალისტური წყობილების პირველივე წლების გამაოგნებელი სიდუხჭირის, უკუღმართობის სისასტიკის სურათები.

მართალია, ნოველაში ერთი სიტყვითაც არ არის თქმული წყობილებისა და სახელმწიფოს სამართლიანობა-უსამართლობის შესახებ, მაგრამ ეს ფრაზა, — „ამ შემთხვევის გამო, ვინ იცის, რა მოელოდა“ — გვაფიქრებინებს, რომ ნაწარმოების პერსონაჟები არა მხოლოდ ეკონომიურად დუხჭირ, არამედ უსამართლო ქვეყანაშიც ცხოვრობენ. არა მარტო უპურონი და უფულონი, არამედ უუფლებონიც არიან. ამიტომ იყო შეძრწუნებული მეზობელი. მან, უდანაშაულო კაცმა, არ იცოდა, ამ შემთხვევის გამო რა მოელოდა...

მოგდევნო ნომერში
შემოგთავაზებთ დ. კლდიაშვილის
„საშანიშვილის
დედინაცვლის“ განხილვას

„ალვერიანი ერის ბედსა უცხოსა...“

მეხუთე გვერდიდან

ეს მაჩვენებელი 70,1 პროცენტს უდრიდა. ცალკეულ რეგიონებში კი მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა. მაგალითად, **ჯავახეთში, ქვეყნის ამ ძირძველ ისტორიულ კუთხეში, ქართველები მხოლოდ 3,2 პროცენტს შეადგენენ, ქვემო ქართლში კი 35,2** პროცენტს (ქალაქ რუსთავის მოსახლეობის გამოკლებით — 25 პროცენტს). აღსანიშნავია, რომ ქართველები დასავლეთ საქართველოს მთელ მოსახლეობაში **81,4 პროცენტს** შეადგენენ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში გაცილებით ნაკლებს — **61,6** პროცენტს. თუ თბილისის მოსახლეობას მხედველობაში არ მივიღებთ, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მცირეა — **58,5 პროცენტი.**

ამასთან, დასავლეთ საქართველოში ცხოვრობს 2327 ათასი კაცი, ანუ 747 ათასი კაცი ნაკლები, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, **თუმცა ქართველების რაოდენობა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ზუსტად თანაბარია — 1894 ათასი კაცი.**

ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის არსებული ეროვნული შემადგენლობა ინტენსიურ მიგრაციულ პროცესებთან ერთად, იმანაც განაპირობა, რომ ქართველებში დაბალია შობადობის დონე. უკანასკნელ წლებში უაღრესად შეიზღუდა ქართველი მოსახლეობის კვლავწარმოება. ეს იმას ნიშნავს, რომ დაბადებული ბავშვები არასაკმარისია მშობელთა თაობის რაოდენობრივი განახლებისათვის. ამასთან ქვეყნის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ზოგიერთს სრულებითაც არ აღელვებს და ისინი სამაგალითოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ასახელებენ, სადაც მილიონობით უცხოელი მიდის სამუშაოდ, რათა გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა. მაგალითად, 80-იან წლებში გერმანიაში 5,5 მილიონი მიგრანტი იყო; ისინი დიდ ქალაქებში ეძებენ სამუშაოს. მათი დიდი ნაწილი გარკვეული პერიოდის შემდეგ სამშობლოში ბრუნდება, ხოლო ნაწილი უკვე რჩება მუდმივ საცხოვრებლად. მთავარი მაინც ის არის, რომ მიგრანტთა კომპაქტური დასახლებები არ იქმნება, **ისინი დიდ ქალაქებში ნაწილდებიან და ამრიგად, ასე ვთქვათ, „ეწერებიან“ ქვეყნის საერთო ცხოვრების წესში.** ხოლო საქართველოში არამკვიდრ მოსახლეობას სოფელი ანუ მიწა აქვთ ათვისებული...

ანზორ თოთაძე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

არც რა მიშველა ტირილმა,

არცა ცრემლების დენამა,

მიშველა ისევ სიცილმა,

ლაქარდიანმა ენამა.

იუმორის გვერდი – წუთშესვენება

კურიოზები ბოჰბაჰის ცვლის დროს

იუმორის გვერდის სტუმარია აფხაზეთის განათლების მინისტრი

ჯანო ჯანელიძე.

გენერალი იატაკზე შევარდნაძის კომენტარით

1993 წლის სექტემბრის თვის ბოლო რიცხვებია. ომის ფინიში. ქალაქი სოხუმი განუწყვეტლივ იბომბება ციდან, ხმელეთიდან თუ ზღვიდან. ღამის 23-24 საათი იქნება. ვზივართ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში. აქ არის ბატონი ედუარდ შევარდნაძე, ცხონებული ჟიული შარტავა, რამოდენიმე მინისტრი. მათ შორის მეც და კიდევ ერთი ქართველი გენერალი. ირგვლივ რაღაც მძიმე, საეჭვო სიჩუმეა. ბატონი ედუარდი რაღაცას წერს, თავდახრილი. მე გენერალს ველაპარაკები რაცხაზე. ამ დროს იქუხა ჰაუბიცამ და ერთ-ერთმა ჭურვმა პირდაპირ ჩვენი კაბინეტის გვერდით მოადინა ზღართანი. აფეთქების ხმა იმდენად დიდი იყო, ვიფიქრე, ჭერი თავზე დაგვეცა-მეთქი. ავარდა ჩემი გენერალი სკამიდან ისე, როგორც საცობი ამოვარდება ხელოვნურად დაგაზული შამპანურის ბოთლიდან და 4-5 მეტრის მოშორებით საკუთარი სკამიდან იატაკზე მოადინა ზღართანი. წამოხტა იატაკიდან სირცხვილნაჭამი გენერალი და გავარდა გარეთ. აწია მშვიდად თავი მაღლა ბატონმა ედუარდმა და ასევე მშვიდად და დამცინავად ჩაიღიმილა და ჩაილაპარაკა: „მოიგებ ახლა ასეთი გენერლებით ომს?!“

რედაქტორისაგან: ამ გენერლის გვარი და სახელი ავტორმა საიდუმლოდ გამანდო, თუ იგი ერთ კვირაში ბავარიული ლუდით არ გამოცხადდება, მის სახელს მთელს დუნიას შევატყობინებ...

მოვკვდებით?! — არაფერია...

24-25 სექტემბერია, 1993 წლის. ისევ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობაში ვართ, მესამე სართულზე. აქ გადმოიტანეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტი მე-10 სართულიდან, რადგან ზედიზედ იბომბება ზედა სართულები. ჩვენი განათლების სამინისტროს მეოთხე სართულიც დაბომბეს. ჩემი კაბინეტის გვერდით, სამინისტროს მთავარი ბუღალტრის ოთახში შემოვარდა ჭურვის ნამსხვრევი და ყველაფერი მილეწ-მოლეწა. კიდევ კარგი, მთავარი ბუღალტერი შინ იყო ჩასული, გვიანი იყო, თორემ ცოცხალი ვეღარ გადარჩებოდა ქალბატონი ნემსო ქომეთიანი. ჰოდა, გვიანი ღამეა. მე და რამოდენიმე მინისტრი, მათ შორის ბატონი რაულ ეშმა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის წინ ვდგავართ და ქალაქ სოხუმის ჩრდილოეთის პლატოს გავყურებთ. იქიდან გვიტევს მტერი, საქმე ცუდად მიდის. ამ დროს მინისტრთა საბჭოს კაბინეტიდან გამოდის ბატონი ედუარდი (დაცვა თან ახლავს), ჩვენთან ჩერდება და გვეკითხება, როგორ არის, ბიჭებო, საქმეო. მე რატომღაც და როგორღაც ვალერიან სადიანის ლექსის სტრიქონები მახსენდება და ვამბობ:

„იქეთაც ქარაფებია,
აქეთაც ქარაფებია,
დავრჩებით? — არაფერია,
მოვკვდებით? — არაფერია“...

ბატონ ედუარდს მოეწონა ლექსი და ისევ განმეორება მთხოვა. მეც ვიმეორებ — იგი გულისყურით და ჩაფიქრებით მისმენს. მერე გვტოვებს ჩვენ და თავისი დაცვით იქითკენ მიდის, სადაც მეფეებიც საკუთარი ფეხით დადიან.

როცა უკან ბრუნდება, ისევ ჩერდება ჩემთან და სტრიქონებს ისიც ზეპირად იმეორებს. შემდეგ მითხრეს დაცვის ბიჭებმა, იმ დღეებში ძალიან ხშირად იმეორებდაო აღნიშნულ სტრიქონებს. მეც, როცა სოხუმიდან წამოსული, ფეხით გადავდიოდი ჭუბერის უღელტეხილს და ჩავყურებდი პირღია ქარაფებს, ბევრჯერ გამახსენდა ეს სტრიქონები:

იქეთაც ქარაფებია,
აქეთაც ქარაფებია,
დავრჩებით? — არაფერია,
მოვკვდებით? — არაფერია...

ამას რა ედარდება?!..

ისევ 1993 წლის 24-25 სექტემბერია. ორი საათის განმავლობაში მინისტრთა საბჭო მტრის გარემოცვაში მოექცა. მე და გენო კალანდია მთავრობის აგარაკზე ვიყავით იმ დროს და ამ ალყას გადავურჩით. ბატონი გურამ ფანჯიკიძე კი ალყაში მოექცა. როცა მინისტრთა საბჭოში მოვედით, ალყა უკვე მოხსნილი იყო, მაგრამ კარგა მაგრად შიშნაჭამმა ბატონმა გურამმა გვისაყვედურა მე და გენოს, რად დამტოვეთ აქ მარტო, აფხაზებმა კიღამ მომიტაცესო. ასეა თუ ისე, ვხედავ, საქმე ცუდად მიდის და უხასიათოდ გამოვდივართ მინისტრთა საბჭოს შენობიდან მე, ნოდარ გრიგალაშვილი, მალხაზ ხულორდავა და გენო კალანდია. წინ ერთი ძალზე ლამაზი ახალგაზრდა თბილისელი გოგონა-კორესპონდენტი მხვდება და მამშვიდებს, რად მოგიწყენიათ, ბატონო ჯანო, ნუ შიშობთ, ყველაფერი კარგად იქნება. აი, ნახავთო, — და მხიარული მტოვებს.

მე მაოცებს ახალგაზრდა გოგონას ეს სითამამე და რწმენა, ჩაფიქრებით შევყურებ მეგობრებს, მეც გადამედება გოგონას სითამამე და სიცილით ველაპარაკები ჩემს მეგობრებს: ყოჩაღ გოგონა, რა თამამია, რა გამბედავი, მე კი რა მომდის, მე კი რა მემართება, თუმცა კაცმა რომ თქვას, რა აქვს საშიში? ასეთ ლამაზ გოგონას, აბა, რას უზამენ აფხაზ-ჩეჩნები? — შეიძლება მოეფერონ და ასიამოვნონ კიდეც, მე კი თავს მომჭრიან, მე უბედურს.

ჩვეული მდგომარეობა

ქ.სოხუმში აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობაში სოცუზრუნველყოფის სამინისტროს მარჯვენა ფრთის პირველი სართული ეკავა. ერთ დღეს (ომის პერიოდია) ვზივართ მინისტრის შალვა წულეისკირის კაბინეტში და ჩაის შევექცევით. იქვეა მისი ერთ-ერთი თანამშრომელი ქალი, რომელიც განსაკუთრებით მშიშარა იყო და ფრთხილი. უცბად ატყდა განგაში, რასაც თან მოჰყვა გამაყრუებელი აფეთქების ხმა და ფანჯარა-მინების მსხვრევა. მეგონა, თავზარი დამეცა. გაისმის ქალის კივილის ხმა. ვხედავ, ჩვენი შალვა ზემოდან გადაფარებია თავის თანამშრომელ ქალს და მთელი ტანით იფარავს... ყუმბარების ნამსხვრევებისაგან... და ასე რჩებიან კარგა ხანს. ამ დროს კაბინეტში შემორბის მინისტრის მოადგილე ‘გალაქტიონ ნაჭყებია და ყურადღებით შემოგვყურებს, აბა, ყველანი ცოცხალი თუ ვართ. და როცა ხედავს მის მინისტრსა და თანამშრომელ ქალს უჩვეულო პოზაში, ეცინება და ხუმრობს:

„რა ხარ, შალვა შენ, ყოველთვის ზედა მდგომარეობა უნდა გეკავოს ქალთან, სიკვდილის წინაც კი?!.

ყველანი ვიცინით და ჭერიდან ჩამოცვენილი ბათქაშის მტვერს ვიფერთხავთ. შალვა და მდივანი ქალიც ტოვებენ უჩვეულო პოზას და ჩვეულებრივ მდგომარეობას უბრუნდებიან მეორედ დაბომბვის მოლოდინში...

არა ვარ ჩახავა!..

მიმდინარე საუკუნის 56-57 წლებია. მე აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავე ვარ. აქვე ცეკვავს გივი ჩახავა, მაშინ კარგა გვარიანად სახელგანთქმული თავისი ცეკვით მთელს საქართველოში. გივის, ცეკვასთან ერთად, კარგა გვარიანი მოლხენაც უყვარდა... სხვათა და სხვათა ხარჯზე. ერთ დღეს გასვენებაზე ვართ სოფელ კელასურში. სამძიმარი მოვიხადეთ და ვდგავართ ჭირისუფლის ეზოში და ვბაასობთ. ერთი იქაური გლეხი მოკრძალებით გვიახლოვდება და კითხულობს, რომელია ჩვენს შორის გივი ჩახავა. გივი თავაზიანი ღიმილით ეცნობა მოსულს.

მეც ჩახავა გახლავართ, თქვენზე ბევრი რამ მსმენია, ბატონო გივი, ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით, უფრო ბედნიერი ვიქნები, თუ ოჯახში მესტუმრებითო.

გივი ჩახავა ისევ თავაზიანად უღიმის და მადლობას მოახსენებს მიპატიჟებისათვის...

მოსული ცოტას ყოყმანობს და ბოლოს ბედავს: „გასაჭირი კი არის ახლა ამ ოჯახში, მაგრამ აქ ღომისა და ჭლანკვის ჭამას, იქ ჩემთან, ოჯახში, ქათამი და ღომი ქე ჯობდა“...

გივი ისევ თავაზიანად იღიმის და ზრდილობიანად თანხმდება.

გავდივართ ჭირისუფლის ოჯახიდან და კელასურელი ჩახავას ოჯახში ვიწყებთ ქეიფს.

რა ჯობია გივი ჩახავასთან ქეიფს, კაი მოცეკვავე, კაი მომღერალი, კაი მოლექსე და იუმორი შეზავებული. აღფრთოვანებული მასპინძელი თვალცრემლიანი გვაცილებს და გივის ეუბნება: მეც ჩახავა, შენც ჩახავა, აგერ შენ და აგერ ჩემი ოჯახი, როცა გინდოდეს, როცა გენებოს, ჭიშკარი ღიაა, მობრძანდი შენი მეგობრებით, სიამოვნებით გიმასპინძლებთ.

ჩახავა თავაზიანად იღიმის და კოცნა-ხვევნით შორდება ერთმანეთს ორი ჩახავა.

არ გასულა ერთი კვირა და ჩვენ კონცერტს ვატარებთ სოფელ მერხეულში, კელასური რომ გამოვიარეთ, გივი ავტობუსს აჩერებს კელასურელი ჩახავას ჭიშკართან, ჭიშკარს აღებს და ყვირის: „ჩახავა, ჩახავა! მოვედი ჩემი მეგობრებით!“ აივანზე გადმოდგება კელასურელი ჩახავა და ყვირის: „ჩახავა ვარ, ჩახავა, მობრძანდით!..“ შევდივართ 50 კაციანი ანსამბლი და მთელი ღამე ვღრეობთ.

მეორეჯერ ბოშათა ანსამბლი ჩამოდის მოსკოვიდან. რესტორნიდან, სადაც ანსამბლს ბანკეტი გაუმართეს, 30 კაციან ჯგუფს მაგიდიდან აყენებს ნაქეიფარი გივი ჩახავა და მიყავს კელასურელ ჩახავასთან, მიადგება ჭიშკარს და ყვირის: „ჩახავა, ჩახავა! — მოვედი ჩემი მეგობრებით!..

აივანზე გადმოდგება კელასურელი ჩახავა, ცოტა შემცბარი, მაგრამ მაინც ეპატიჟება გივის თავისი ბოშებით. არის მთელი ღამე ბოშათა ცეკვა-თამაში და ღრეობა.

მესამედ კიდევ ასე...

მეოთხედ კიდევ ასე...

და მეხუთედ, როცა ოცკაციანი ამფსონებით მიადგა გივი ჩახავა კელასურელ ჩახავას და შესძახა: „ჩახავა ვარ, ჩახავაო!..“

გადმოდგა აივანზე კელასურელი ჩახავა ხელში თოფით და დასჭექა: — არა ვარ ჩახავა, ჭიბროწაშვილი ვარ, არ შემოხვიდე ეზოში, თორემ გაგაგორებ ღორივითო. ასე დამთავრდა სოხუმელი და კელასურელი ჩახავების სტუმარმასპინძლობა.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

რობორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენი შვილი — მწერალი გიგა თუთბერიძე საომარი მოქმედების დაწყების პირველივე დღიდან იბრძოდა აფხაზეთში, ძმიმედ დაიჭრა ეშერაში, შემდგომ კი ტრაგიკულად დაიღუპა 29 წლის ასაკში. მხოლოდ ორი წლის შემდეგ გავიგეთ, რომ მას ეკუთვნოდა დაზღვევის დაბმარება. მივმართეთ სახელმწიფო დაზღვევის რაიონულ განყოფილებას, საიდანაც უარყოფითი პასუხი მივიღეთ. ეს ჩვენთვის მოულოდნელი არ იყო. ამ ბოლო სამი წლის მანძილზე ბევრჯერ წავწყდომივართ გულგრილობასა და უგულისყურობას სხვასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციის მუშაკთაგან.

თითქმის იმედგადაწურულებმა განცხადებით მივმართეთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის კომპანიის ხელმძღვანელობას. აქ, როცა გაიგეს, ორი შრომისუუნარო პენსიონერი როგორ პირობებში ვხრდით უდემპოდ დარჩენილ მცირეწლოვან შვილიშვილს, ჩვენი თხოვნა დადებითად გადაწყვიტეს.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებით გაგვაოცა იმ კეთილმოსურნეობისა და გულისხმიერების ატმოსფეროს, რაც ასე სჭირდებათ გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს. როგორც ჩანს, აღნიშნულ კომპანიაში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

ბატონო რედაქტორო, გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით, პატარა რატის სახელით ჩვენი მადლიერება და პატივისცემა აუწყოთ ბატონ რევაზ ფარულიას და ბატონ ავთო დვალს, როშლებსაც სრული უფლება აქვთ იწოდებოდნენ ამ დაწესებულების ღირსეულ ხელმძღვანელად.

დ.გაბედავა, რ.თუთბერიძე

4 ივნისი, 1996 წ.

სიახლე ფარმაკოლოგიაში!

სამედიცინო ფირმა „ბორჯი“!

კარგად დაიმახსოვრეთ ამ ფირმის სახელწოდება.

მის მიერ გამოშვებული წამლები: ხსნარი „ფიტოსოლი“ და მალამო „ფიტომალი“ გამოიყენება ქირურგიაში, გინეკოლოგიაში, უროლოგიაში, ფარმაკოლოგიაში, ოტორინოლარინგოლოგიაში, დამწვრობისას, ფურუნკულის, კარბონკულის, აბსესის დროს, მშობიარობის შემდგომ პერიოდში საშვილოსნოს გამოსარეცხად, აგრეთვე კოლპიტისა და საშვილოსნოს ყელის ეროზიის, დაზიანებული კანისა და ლორწოვანი გარსის ხანგრძლივი შეუხორცებლობის, სტომატიტის, სურდოსა და სხვა დაავადებების დროს.

მცენარეებისაგან დამზადებული ხსნარი და მალამო უებარი წამალია კანის დაავადებათა სამკურნალოდ.

პრეპარატები აპრობირებულია და ნებადართულია ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ.

ცნობებისათვის დარეკეთ 93-10-81

პატიმარ ჯაბა იოსელიანთან მის ყოფილ თანამებრძოლება დაპირისპირების დოკუმენტური ჩანაწერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებამ იცის, რომ დამთავრდა ჯ.იოსელიანის საქმის გამოძიება 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით. ძიების პროცესში მას კიდევ სხვა ბრალდებებიც წარედგინა სამოქალაქო ომის დროს „მხედრიონის“ მიერ ზუგდიდის რაიონის დარბევის გამო.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 1993 წლის 2 ნოემბერს, სახელმწიფოს მეთაურის მიერ გამოცემული ბრძანება „საომარი მოქმედების რაიონებში მარადიორობის, ბანდიტიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ საგანგებო ზომების გაძლიერების შესახებ“, მხედრიონელთა მიერ უგულებელყოფილი დარჩა. უკვე 6-11 ნოემბერს ისინი ზუგდიდს არბევენ. 12-13 ნოემბერს კი ისვენებენ (გამოძიებამ დაადგინა, რომ მხედრიონელები შაბათ-კვირას ასეთ ოპერაციებს არ ატარებდნენ), 14-16 ნოემბერს სოფლებს დარჩელსა და ანაკლიას იკლებენ. 16 ნოემბერს, სოფელ დარჩელიდან წამოსვლის შემდეგ, ახალ კახათთან დამაკავშირებელ გზაზე 8-10 კაცზე ნადავლის წართმევის მიზნით ხდება გაურკვეველ პირთა თავდასხმა. რის შედეგადაც 2 კაცი დაიღუპა, რამდენიმე კი დაიჭრა.

იმავე დღეს ეს ამბავი მიუვიდათ ზუგდიდში მყოფ შტაბის უფროსს დ.გუგეშაშვილს, ვ.ქრისტესაშვილს და კომენდანტ ზ.პაიჭაძეს. მათ შეაიარაღეს დაახლოვებით 80—100 კაცი. 16 ნოემბერსვე რუსთავის გაერთიანება „აზოტიდან“ გატაცებული იკარუსით ჩავიდნენ შემთხვევის ადგილას და 14-დან 17 საათამდე აწარმოეს დამსჯელი ოპერაციები, რა დროსაც ძარცვა-გლეჯასთან ერთად მოხდა სახლების დაწვა, დაზიანება და მოქალაქეთა ქონების განადგურება. გამოძიებამ დაადგინა, რომ ნადავლის ტრანსპორტირება ჯ.იოსელიანის დახმარებით მოხერხდა და საერთოდ მთლიანად ზუგდიდის რაიონის დარბევა ჯ.იოსელიანის სიტყვებმა „მიეცით ზუგდიდი სანავარდოდ ბიჭებს“ გამოიწვია.

ამის დამადასტურებლად მოგვყავს ამ ფაქტთან დაკავშირებით მოწმეთა დაპირისპირებების ოქმები თავად ჯ.იოსელიანთან. ვფიქრობთ, წარმოდგენილ მასალას მკითხველი დამოუკიდებლად შეაფასებს და სათანადო დასკვნებსაც თავად გამოიტანს. ამიტომაც კომენტარისაგან თავს ვიკავებთ.

...მივხვდი, რომ გამართლდა სიტყვები: „სამი დღე უნდა მივცე ქალაქი ბიჭებს“

1996 წლის 14 მარტი. გელა ლანჩავას დაპირისპირება ჯ.იოსელიანთან

გ.ლანჩავა: 7 ნოემბერს, 6 საათზე დავიძარით ზუგდიდის მიმართულებით... შინაგანი ჯარი და ომონი. ქალაქში ათის ნახევარზე შევედით. გზაში, ზუგდიდში მისვლამდე გვხვდებოდა მანქანები, რომლებიც მოდიოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულებით. შემდგომში გავიგე, რომ წინა ღამით, ან უფრო ადრე ჩვენამდე „მაშველთა კორპუსის“ წევრები ჯგუფ-ჯგუფად შესულიყვნენ ზუგდიდში. მათ მიერ მოხდა მოსახლეობაზე თავდასხმები, ავტომანქანათა და სხვადასხვა საოჯახო, თუ პირადი ნივთების გატაცებები. მივხვდი, რომ ქალაქი იძარცვებოდა. ამის დასტური იყო ქალაქის მოედანზე შესვლის დღესვე, ჩემს მიერ დაკავებული ნაძარცვ-გატაცებული მანქანები. ზუგდიდში, მოედანზე დავინახე ტანკს ჩაბმული ჰყავდა ვაზ-2109 მარკის მანქანა. დამაეჭვა ამ ფაქტმა და გკითხე ტანკთან მყოფ რუსთავის „მხედრიონის“ წევრს, თუ ვისი იყო მანქანა. მან მიპასუხა „ბატონო გელა, ეს მანქანები იმ სისხლისმწოველების მიერ არის გატაცებული და მიგვყავსო“. იქვე მოვიდა ხალხი და მთხოვეს — ბატონო გელა, გვიშველე, მანქანები წაგვართვეს და დაბრუნებაში დაგვეხმარეო. იქვე დავუბრუნე ორი ვაზ-2109 მარკის მანქანა, ერთი „ნივა“ და ვაზ-2106 მარკის ავტომანქანა, ჩვენებსა და „მხედრიონელებს“ შორის დაიძაბა მდგომარეობა. მათ იარაღიც კი დამიმიზნეს. ჩვენ ისინი განვაიარაღეთ და მივიყვანეთ კომენდატურაში ზაზა პაიჭაძესთან. მან მითხრა: „რა ვქნათ, ეს მანქანები ჩვენ გვეგონა თბილისიდან წამოყვანილი და დაყაჩაღებული“. სიტყვა ბანზე აგვიგდო და მთხოვა დავხმარებოდი თავისი მოვალეობის შესრულებაში. ქალაქში მასიური ძარცვა-ყაჩაღობა, ქაოსი იყო. არავითარ ბრძოლებს იქ ადგილი არ ჰქონდა. რომ შეჩერებულიყო მანქანების ზუგდიდიდან გატაცების ფაქტები, თეკლათის ტეკთან დადგნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების პოლკის წევრები... იმხანად ზუგდიდში ოჯახებში შესვლა, მანქანების წამოყვანა ყოველგვარ კანონს ეწინააღმდეგებოდა. როცა ჩემი თვალით ვნახე ძარცვა, ყაჩაღობა, ქურდობა, დაზარალებული მოსახლეობა, მივხვდი, რომ გამართლდა სიტყვები „სამი დღე უნდა მივცე ქალაქი ბიჭებს“.

ჯ.იოსელიანი: მე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მონაწილეობას არ ვღებულობ საგამოძიებო მოქმედებაში, მითუმეტეს, რომ უარს ვამბობ სამოქალაქო ომთან დაკავშირებით ჩვენებების მიცემაზე ოთხი წლის გასვლის შემდეგ.

კროსვორდი



თარაზულად: 1. მამოძრავებელი ძალა; 3. მსოფლიოს მეათე ჩემპიონი ჭადრაკში; 6. ცუდი გემო ღვინისა, ჭურჭლისგან მიცემული; 8. ლიტერატურა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, რომელშიც შექებულია სიყვარული, რაინდული პატიოსნება; 9. ტბა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 12. კუნძული ატლანტის ოკეანეში; 15. ქართული მხატვრული კულტურის ძეგლი; 17. უღელტეხილი პოლონეთისა და ყოფილი ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე; 18. სახელი ფრანგი პოეტისა, რომლის ლექსი „ზღვათამფლობელი“ თარგმნა ილია ჭავჭავაძემ; 19. გარეული ცხვარი; 20. კათოლიკე სასულიერო პირის საქორწილო მოპარსული ადგილი; 21. მოფერებით მოხსენიება ღვინისა; 23. ქართველი კინორეჟისორი; 24. გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობებს; 27. მთავარი როლის შემსრულებელი ა.რეხვიაშვილის ფილმში „საფეხური“; 29. სინარნარე მიხვრა-მოხვრაში; 31. სტომატოლოგიის ნაწილი; 32. ორწვერი, ანუ... 33. ფრანგი ფერმწერი, პეიზაჟისტი; 34. მამაკაცის სახელი.

ვერტიკალად: 1. სწორი ხაზი; 2. სოფელი დასავლეთ საქართველოში; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი დასავლეთ საქართველოში; 5. მასალათა ნარევი შახტურ ღუმელებში ლითონთა დნობისას; 6. ქართველი პიანისტი; 7. აკაკის ლექსი; 10. ორგანიზმის ისტორიული განვითარების პროცესში პირვანდელი ფუნქციის დაკარგვის გამო განუვითარებელი ორგანო; 11. მსტოვარი, ჯაშუში ძველ ათენში; 13. ნაგებობა გუშაგისათვის, გზის დარაჯისათვის; 14. ხელის გრანატის ტყორცნაში გაწვრთნილი ჯარისკაცი ძველ არმიებში; 15. წიგნის ან ხელნაწერის თავში ან ბოლოში დართული ორნამენტი, ნახატი; 16. მოწყობილობა ზუსტ ხელნაწერებში; 22. მოწითალო წრე წყლულის გარშემო; 23. ე.მაღალაშვილის სცენური სახე; 25. ცხენებშებმული საზიდარი; 26. ფრანგი დირიჟორი; 28. ნატო ვაჩნაძის ეკრანული სახე; 30. მტვრის ნაწილაკი.

მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41